სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

25025320301217

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170879579

რეგისტრაციის თარიღი

03.08.2017 წ

ნოტარიუსი: თეიმურაზ ბურდილაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანი ქ. #10
ტელეფონი: 94-60-78

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი
საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის სამ აგვისტოს, მე, ნოტარიუს თეიმურაზ ბურდილაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ.№10, მომმართა მოქ. კახაბერ გოზალიშვილმა. მან განაცხადა, რომ არის ინდივიდუალური მენაშენთა ამხანაგობა « ნუცუბიძე 2014 »-ის თავმჯდომარე, სურს მინდობილობის შედგენა რამაზ ტვილდიანის მიმართ და მოითხოვა ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად კახაბერ გოზალიშვილმა (დაბადებული 10.04.1966წელს პირადი №01001008356, მის. თბილისი, გლდანის მას. 6 მკრ, კორპ. 29, ბინა 65)-მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევამოწმე მისი უფლებამოსილება, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს ინდივიდუალური მენაშენთა ამხანაგობა « ნუცუბიძე 2014 », რასაც ადასტურებს სანოტარო აქტი ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის/ სამეწარმეო ამხანაგობის დაფუძნების შესახებ, დამოწმებული ნოტ. კ. ჯაფარიძის მიერ 05.06.2014წ რ№140573563. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის სამ აგვისტოს მოქ. კახაბერ გოზალიშვილმა, როგორც ინდივიდუალური მენაშენთა ამხანაგობა « ნუცუბიძე 2014 »-ის (ს/კ 205311820) თავმჯდომარემ მოქ რამაზ ტვილდიანს (დაბადებული 30.07. პირადი №01009016511, მის. თბილისი, ვ/ფშაველას გამზ. 7 კვ. 22 კორპ, ბ 37), რომელიც შემდეგში მოხსენებულია, როგორც «მინდობილი პირი», მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება :

მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის ნაცვლად აწარმოოს მენაშენეთა ამხანაგობა « ნუცუბიძე 2014 »-ში მისი, როგორც ინდივიდუალური მენაშენთა ამხანაგობის თავმჯდომარის მუშაობასთან დაკავშირებული საქმეები, დაესწროს ამხანაგობის კრებებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის ბინების და არასაცხოვრებელი ფართების განაწილების შესახებ გამართულ კრებებს ხმის მიცემის უფლებით, ხელი მოაწეროს ფართების განაწილების შესახებ აქტს და სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, განკარგოს ამხანაგობის სახელზე არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, გაყიდოს, გაცვალოს, გააჩუქოს, აიღოს სესხი და დატვირთოს იპოთეკით აღნიშნული უძრავი ქონება, შეიტანოს ცვლილებები და/ან გააუქმოს ხელშეკრულებები, ყველა ამ შემთხვევაში განსაზღვროს თანხა, ვადა და სხვა პირობები თავისი შეხედულებისამებრ, აწარმოოს უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოებში ამხანაგობის სახელზე არსებული ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საქმეები, შეიტანოს განცხადებები, აიღოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურებიდან (უძრავი ქონების მარეგისტრირებელი ორგანოებიდან), საჯარო რეესტრიდან, საგადასახადო სამსახურებიდან და სხვა), იყოს წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში და მის ნებისმიერ სამსახურში, გააკეთოს განაცხადი მშენებლობადამთავრებული უძრავი ნივთის ექსპლუატაციაში მისაღებად, იყოს მენაშენეთა ამხანაგობა « ნუცუბიძე 2014 »-ის თავმჯდომარის წარმომადგენელი საბანკო დაწესებულებებში, გახსნას საბანკო ანგარიშები და განკარგოს როგორც არსებული. ასევე შემდგომში გახსნილი საბანკო ანგარიშები, აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაციები თანხის შეტანა-გატანის და გადარიცხვის უფლებით, დაამზადებინოს, განაახლოს, გაუგრძელოს მოქმედების ვადა და მიიღოს მიმნდობის სახელზე რიცხული პლასტიკური ბარათი და საბანკო ამონაწერი, ხელი მოაწეროს მის მაგივრად შესაბამის ხელშეკრულებებს (მათ შორის, საკრედიტო ხელშეკრულებებს) და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით და ძალაშია 03.08.2019წლამდე

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10-00 ლარი + რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად, აგრეთვე დღგ 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ გადახდილია 13.80 ლარი

მიმნდობი

ნოტარიუსი თეიმურაზ ბურდილაძე